# თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სილაბუსი

**ფაკულტეტი –** პედაგოგიური, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**კათედრა –** ქართული ფილოლოგიის

**სალექციო კურსი – ქართული ენის სწავლების მეთოდიკა** 1

**კურსის კოდი: P.2.K.01**

**კრედიტების რაოდენობა: 5** II სემესტრი

**სალექციო კურსის სტატუსი –** სავალდებულო


**ლექტორი: პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე**

საკონტაქტო ტელეფონი: 33-22-61; მობ. 593-53-35-27

ელ.ფოსტა: **natela_maglakelidze@yahoo.com**


**"ქართული ენის სწავლების მეთოდიკა"** განეკუთვნება ინტეგრირებულ მეცნიერებათა რიცხვს. ის თავისთავში აერთიანებს ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის მონაცემებს. ამდენად, მისი სწავლება გულისხმობს, რომ სტუდენტს უკვე აქვს საბაზისო განათლება ქართული ენაში, ზოგად პედაგოგიკაში, ქართული ლიტერატურაში, ზოგადსა და ასაკობრივ ფსიქოლოგიაში.

### კურსის მიზნები

- **"ქართული ენის სწავლების მეთოდიკა"** ეხმარება სტუდენტს, მომავალ მასწავლებელს, პროფესიულ დახელოვნებაში, ამზადებს მას სკოლაში პედაგოგიური პრაქტიკისათვის, აძლევს სათანდო პროფესიულ უნარ-ჩვევებს, აცნობს მშობლიური ენის სწავლების როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე მეთოდებს.
- აღნიშნულ კურსს საფუძვლად ედება ლინგვისტური განათლებისა და მეთოდიკური ორიენტაციის ერთიანობის პრინციპი, რაც პირველ რიგში გამოიხატება შესასწავლი საკითხების ლინგვოდიდაქტიკური საფუძვლების კვლევაში, ასევე – სტუდენტის მიერ ისეთი პრობლემური საკითხების დამუშავებაში, რომლებიც თავისთავში აერთიანებენ საკითხის ლინგვისტური, ფსიქოლოგიური და მეთოდიკური ასპექტებით კვლევას.
- კურსის მიზანია არა მხოლოდ პრაქტიკოსი მასწავლებლის, არამედ მკვლევარის მომზადებაც, რომელსაც ეცოდინება ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების ისტორიული ასპექტები, დაუფლებული იქნება არა მხოლოდ ქართული, არამედ საზღვარგარეთული კვლევის მეთოდებსაც.

სწავლის შედეგები

| | ზოგადი კომპეტენციები | დარგობრივი კომპეტენციები |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება. | • იცნობს ეროვნული სასწავლო გეგმებითა და საგნობრივი სანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (კლასების მიხედვით);<br>• პილოტირებული სახელმძღვანელოების<br>• აგების პრინციპებს;<br>• ცოდნის შემოწმებისა და შეფასების თანმედროვე სისტემებს. | • ღრმა და სისტემური ცოდნა ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში;<br>• მშობლიური ენის სწავლების ლინგვისტურ-დიდაქტიკური საფუძვლების სწავლების უნარი;<br>• იცნობს ეროვნული სასწავლო გეგმებითა და საგნობრივი სანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (კლასების მიხედვით);<br>• პილოტირებული სახელმძღვანელოების<br>• აგების პრინციპებს;<br>• ცოდნის შემოწმებისა და შეფასების თანმედროვე სისტემებს. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება- სწავლების უნარი | • გაკვეთილის ჩატარება ქართულ ენაში;<br>• ქართული ენის თეორიული და პრაქტიკული საკითხების სწავლება;<br>• რეფერატის დაწერა სათანადო წყაროების მიხედვით;<br>• გამოკვლევის დაწერა შერჩეულ თემაზე. |
| დასკვნის უნარი | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | • მოსმენილი გაკვეთილის ანალიზი და საკუთარი მოსაზრებების წარმოჩენა და ლოგიკური დასაბუთება |
| კომუნიკაციის უნარი | პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია | სასწავლო პროექტის შექმნა და აკადემიურად წარმოდგენა პროფესიული აუდიტორიის წინაშე |
| სწავლის უნარი | შეუძლია როგორც სხვისი ხელმძღვანელობით, ასევე დამოუკიდებლად სწავლა;<br>საკუთარი საქმიანობისა და კარიერის დაგეგმვა. | შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება;<br>ინტელექტუალური ცოდნის გაღრმავება. |
| ღირებულებები | გააჩნია პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი. | ითვალისწინებს და პატივს სცემს სპეციალისტების აზრს, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას. |

## კურსის შინაარსი

## ქართული ენის სწავლების მეთოდიკის ლინგვისტურ-დიადაქტიკური საფუძვლების მიმოხილვა

| | |
|---|---|
| ლექცია 1-2 | თემა: **მშობლიური ენის სწავლების ზოგადმეთოდოლოგიური ასპექტები**<br><br>აქ განხილული იქნება დედაენაზე სწავლების აუცილებლობა, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კლასიკოსთა ნააზრევი ამ საკითხზე. *ყურადღება მიაქციეთ* იმ გარემოებას, რომ არც კლასიკოსთა და არც თანამედროვე მკვლევართა შორის არ არსებობს ამ საკითხის ირგვლივ ერთიანი აზრი. ძალზე მნიშვნელოვანია იცოდეთ ქართული პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის წარმომადგენელთა განსხვავებული მოსაზრებანი ამ საკითხზე, ასევე ბოლოდროინდელი ლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის მონაცემები. ძალზე დაგეხმარებათ ამ საკითხის ირგვლივ **ი. გოგებაშვილის, დ. უზნაძის, ვ. ჰუმბოლდტის, ჟ. პიაჟეს, გ. რამიშვილის, ე. საპირის, ნ. ნათაძის, გ. ნებიერიძის...** შრომების თუნდაც ზოგადი გაცნობა და ანალიზი.<br><br>ლიტერატურა:<br>1.**ი. გოგებაშვილი, *ბურჯი ეროვნებისა***, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, გვ. 138-174<br>2. **ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 2004, გვ. 4-8<br>3. **გ. რამიშვილი,** დედაენის თეორია, 2002, გვ. 24-27 .<br>4. **დ. უზნაძე**, ბავშვის ფსიქოლოგია, 2002, გვ. 117-123. |
| ლექცია 3-4 | თემა: **ქართული ენის სწავლების ენათმეცნიერული საფუძვლები**<br><br>აქ განხილული იქნება ენის, აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთმიმართება, ენის ფუნქციები, ქართული ენის ლინგვისტური თავისებურებანი და მათი გათვალისწინება მეთოდიკის სასწავლო კურსში. *ყურადღება მიაქციეთ* იმ გარემოებას, რომ ქართული ენა ძირითადად ფონეტიკური დაწერილობის ენაა და სწორედ აქედან გამომდინარეობს საკითხთა სწავლების სპეციფიკაც; ასევე მისი თავისებურება როგორც აგლუტინაციური ენისა, განაპირობებს მეთოდების შერჩევის სპეციფიკას გრამატიკის სასკოლო კურსის სწავლებისას. ძალზე დაგეხმარებათ სასკოლო სახელმძღვანელოთა ანალიზი. პრაქტიკულ მაცადინეობებზე ამ საკითხებს განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმობა:<br><br>საჭირო ლიტერატურა:<br>1. **ენათმეცნიერების შესავლის საკითხები**, თსუ გამომცემლობა, 1973, გვ. 6-12.<br>2. **ე. საპირი**, კულტურა, ენა და პიროვნება, გვ. 17-48.<br>**არნ. ჩიქობავა**, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა, კრებ. "ქართული სიტყვის კულტურის საკითხები", წიგნი I, გვ. 7-13. **4 ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ.11-15. |

| | |
|---|---|
| | 3. **5. გ. რამიშვილი,** დედაენის თეორია, გვ. 27-31.<br><br>ცოდნის შუალედური შემოწმება –ტესტირება |
| ლექცია 5-6 | თემა: **ქართული ენის სწავლების მეთოდიკის პედაგოგიურ-დიდაქტიკური საფუძვლები**<br><br>აქ განხილული იქნება პედაგოგიკისა და დიდაქტიკის მონაცემები, რომელთა გათვალისწინება აუცილებლად დასჭირდება ქართული ენის მასწავლებელს გაკვეთილის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის. *ყურადღება მიაქციეთ* იმ გარემოებას, რომ განათლების მეცნიერებაში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები და სიახლეებია. თუ აქამდე სწავლება ძირითადად ორიენტირებული იყო ცოდნის შეძენაზე, ახლა ამ ცოდნის გამოყენებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. ყურადღების ცენტრში დგება ***"სწავლის სწავლების"*** საკითხი, როდესაც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში და მასწავლებელთან ერთად მონაწილეობს ახალი მასალის აღმოჩენაში, რა დროსაც ეუფლება დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებსაც. სწავლება ძირითადად მოსწავლის აქტივობაზეა ორიენტირებული. მასწავლებელს ეძლევა ფართო არჩევანი როგორც მეთოდების, ისე სახელმძღვანელოების შერჩევისას, რაც მისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ პედაგოგიურ დახელოვნებას. ძალზე მნიშვნელოვანია გაეცნოთ ბოლოდროინდელ სასწავლო პროექტებს, მათს დადებითსა და ზოგჯერ კრიტიკულ მხარეებსაც. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა თქვენი აზრის დაფიქსირებასა და დასაბუთებას ამ საკითხებზე.<br>საჭირო ლიტერატურა:<br>1. **ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 15-22.<br>2. **მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა**, გვ. 5-9. |
| ლექცია 7-8 | თემა: **ქართული ენის სწავლების ფსიქოფიზიოლოგიური საფუძვლები**<br>აქ განხილული იქნება მასალის შერჩევისა და დალაგების პრინციპები მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. *ყურადღება მიაქციეთ* იმ გარემოებას, რომ შესასწავლი მასალა სრულ შესატყვისობაში უნდა იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობებთან, რაც ძალიან ხშირად იგნორირებულია. არსებობს ფსიქოლოგთა გამოკვლევები ამ კუთხით, რომელთა გამოყენება და გათვალისწინება აუცილებელია სასწავლო პროცესში. ძალზე დაგეხმარებათ **დ. უზნაძის, რ. ნათაძის, დ. ვიგოტსკის, დ. ელკონინის** გამოკვლევები. პრაქტიკულ მეცადინეობებზე მათს ანალიზს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა.<br><br>საჭირო ლიტერატურა:<br>1. **ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 22-29.<br>2. **ვ. რამიშვილი**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ.43-58<br>3. **დ. უზნაძე**, ბავშვის ფსიქოლოგია, გვ.508-513.<br><br>ცოდნის შუალედური შემოწმება – შუალედური წერა, |

| | პრეზენტაცია |
|---|---|
| ლექცია 9-10 | თემა: **ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების ისტორიული ასპექტები**<br><br>აქ განხილული იქნება ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიული საწყისები, ქართული მეთოდიკური და ლინგვისტური აზროვნების ურთიერთმიმართება, მათი კავშირი, უძველესი სახელმძღვანელოები, მეთოდიკური შრომები, ქართველ განმანათლებელთა ბრძოლა მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებისათვის. ***ყურადღება მიაქციეთ*** იმ გარემოებას, რომ ქართული მეთოდიკური აზროვნება ისევე ძველია, როგორც ქართული ლინგვისტური აზროვნება. პრაქტიკულ მეცადინეობებზე განვიხილავთ და გავაანალიზებთ ქართული ენის უძველეს სახელმძღვანელობებს, მაგრამ სააუდიტორიო მუშაობა ამისთვის ძალზე ცოტაა და სტუდენეტებს მოუხდებათ მათი დიდი ნაწილის დამოუკიდებელი ანალიზი.<br><br>ლიტერატურა:<br>1. **მ. თალაკვაძე,** ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, I გამოცემა, გვ. 40-53., გვ.<br>**2. ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 29-45.<br>**3. ვ. რამიშვილი**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 1956 წლის გამოცემა, გვ. 155-163. |
| ლექცია 11-12 | თემა: **ქართული წერა-კითხვის სწავლება**<br><br>აქ განხილული იქნება წერა-კითხვის სწავლების ყველა არსებული მეთოდი, ესენია: ***ანალიზური, სინთეზური და ანალიზურ-სინთეზური***. ანალიზური მოიცავს ბგერით ანალიზურსა და მთლიან სიტყვათა მეთოდებს; სინთეზური კი–ასოთშეერთების, მარცვალთშეერთებისა და ბგერათშეერთების მეთოდებს; *ყურადღება მიაქციეთ* იმ გარემოებას, რომ ქართულის, როგორც ფონეტიკური დაწერილობის ენისათვის, ყველაზე მისადაგებულია წერა-კითხვის სწავლების **ანალიზურ-სინთეზური მეთოდი** და **კითხვა-წერის ხერხი**, რომელთა ფუძემდებლადაც საქართველოში გვევლინება **ი. გოგებაშვილი,** რომელმაც თავის ანბანის სახელმძღვანელოებში წერა-კითხვის სწავლების ყველა მეთოდი მოსინჯა და უპირატესობა ამ უკანასკნელს მისცა, როგორც ქართული ენისათვის ყველაზე ადექვატურს.<br><br>საჭირო ლიტერატურა:<br>1. **მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია**, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, გვ. 32-38.<br>2. **ნ. მაღლაკელიძე,** ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ.45-70.<br>3. **ვ. რამიშვილი,** ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 45-86. |
| ლექცია 13-14 | თემა: **წერა-კითხვის სწავლების ანალიზურ-სინთეზური მეთოდი**<br><br>გაანალიზდება ი. გოგებაშვილისეული “დედა ენა” და ანბანის ის თანამედროვე სახელმძღვანელოები, რომლებიც ამ მეთოდით არის შედგენილი. ი. გოგებაშვილის ანაბანის სახელმძღვანელოების მაგა- |

| | |
|---|---|
| | ლითზე ნაჩვენები იქნება, დროთა განმავლობაში როგორ იხვეწებოდა და მდიდრდებოდა ეს მეთოდი. დამუშავდება გაკვეთილების სცენარები. პრაქტიკოს მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებით გაანალიზდება ამ მეთოდის უპირატესობა. სურვილის შემთხვევაში სტუდენტებს თავადაც შეუძლიათ შეადგინონ ანბანის სახელმძღვანელოს მაკეტი ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა სტუდენტის მიერ საკუთარი მოსაზრების დასაბუთებას.<br><br>ლიტერატურა:<br>1. **ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 70-96.<br>2. **ვ. რამიშვილი**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 86-113.<br>ცოდნის შუალედური შემოწმება – შუალედური წერა, პრეზენტაცია |

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები –** სტუდენტი საბოლოოდ შეფასდება სემესტრის დასასრულს მაქსიმუმ 100 ქულიანი სისტემით.
**გათვალისწინებული იქნება შემდეგი კომპონენტები :**

**I. შუალედური შეფასება —— მაქსიმუმ 60 ქულა, აქედან:**

ა/. **ორი შუალედური წერა** ––– მაქსიმუმ 30 ქულა, თითოეული მაქსიმუმ 15 ქულა (VIII, XIII კვირა). სტუდენტებს საწერად მიეცემა ერთი თეორიული (მაქსიმუმ 10 ქულა) და ერთი პრაქტიკული ხასიათის (მაქსიმუმ 5 ქულა) დავალება. ***შუალედური წერის შეფასების კრიტერიუმები:***

1. **დავალება –– თეორიული საკითხი (მაქსიმუმ 10 ქულა) აქედან:**
   - საკითხის ადეკვატურად გაგება და გააზრება –– 4 ქულა;
   - ნაშრომის აგება დაარგუმენტირება-ციტირება–– 4 ქულა;
   - წერითი მეტყველების კულტურა (ორთოგრაფია, სინტაქსი, სტილი, პუნქტუაცია) მხოლოდ 4 შეცდომა ––– 2 ქულა;
     დაშვებულია 5-დან 10–მდე შეცდომა ––– 1 ქულა;
     10-ზე მეტი შეცდომა ––––––––– 0 ქულა
2. **დავალება –– პრაქტიკული საკითხი (მაქსიმუმ 5 ქულა) აქედან:**
   - დავალების ადეკვატურად და ზუსტად შესრულება––3 ქულა;
   - ნაწილობრივ ადეკვატურობა, თუმცა სიზუსტე – 2ქულა;
   - ნაწილობრივ ადეკვატურობა და ორიოდე უზუსტობა–1 ქულა;
   - არაადეკვატურობა და სამ უზუსტობაზე მეტი –– 0 ქულა.
   - წერითი მეტყველების კულტურა – 2 ქულა;
   - არაა დაცული წერითი მეტყველების კულტურა––– 0 ქულა.

**ბ/. ზეპირი საუდიტორიო აქტივობები/ტესტირება –** მაქსიმუმ **20** ქულა **(4X5ქულა);** ამ კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება

შუალედური შეფასების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს.

*პრეზენტაცია ძირითადად შეფასდება შემდეგი სქემის მიხედვით:*

- თემის წარმოდგენა (მიზანთან შესაბამისობა) ;
- მსჯელობის ლოგიკური განვითარება და რიტორიკის კულტურა;
- არგუმენტაცია და ვიზუალური მასალა;
- კითხვებზე პასუხი/დებატის ხელოვნება და აუდიტორიასთან ურთიერთობა;

საპრეზენტაციო თემის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტის სურვილი.

**გ/. საშინაო დავალება/რეფერატი** — მაქსიმუმ 10 ქულა,

*შეფასების კრიტერიუმები:*

- ადეკვატურობა და სრულყოფილება ——— 3 ქულა;
- ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა ——— 2 ქულა;
- დამოუკიდებელი აზროვნება (ინდივიდუალიზმი) —— 3 ქულა;
- წერითი მეტყველების კულტურა ———— 2 ქულა.

**II. დასკვნითი გამოცდა —— მაქსიმუმ 40 ქულა (ზეპირი)**

დასკვნით, შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას. მან უნდა გამოამჟღავნოს სემესტრის განმავლობაში შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისი ცოდნა.

კრედიტი მიენიჭება სტუდენტს მინიმუმ **51** ქულის დაგროვების შემთხვევაში და უფლება ეძლევა, თავად გადაწყვიტოს საბოლოო გამოცდაზე გასვლის საკითხი.

**მოთხოვნები –** ა/. ქცევა – თავშეკავებულობა, კორექტულობა, საკუთარი აზრის მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბება;

ბ/. კატეგორიულად აკრძალულია გადაწერა და პლაგიატობა – საშინაო დავალებები – 0 ქულა,

შუალედური წერა – 0 ქულა,

საბოლოო გამოცდა – 0 ქულა.

## საჭირო ლიტერატურა/სახელმძღვანელოები/ჟურნალები/ვებ-გვერდები:


1. **არაბული ა.** ქართული მეტყველების კულტურა, 2006
2. **ბასილაია ნ.** ქართული პუნქტუაცია , 1956,
3. **რ. გაბეჩავა,** ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის საკითხთა სწავლება სკოლაში, 19992,
4. **მისივე,** სტილისტიკის საკითხთა სწავლება რვაწლიან სკოლაში, 1993,
5. **ვ. თოფურია,** ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965,
6. **თალაკვაძე მ.,** ზმნის სწავლება სკოლაში, 1955
7. **მისივე,** ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, 1976,
8. **მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია,** ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, 2006

9. ნ. მაღლაკელიძე, ზმნის სწავლება სკოლაში, 1997
10. ნ. მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 2004
11. ნ, მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, 1997

დამატებითი ლიტერატურა

12. რამიშვილი გ. დედაენის თეორია, 2002
13. რამიშვილი ვ. პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, 1954
14. მისივე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 1966
15. საპირი ე. კულტურა, ენა და პიროვნება, 2005
16. დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, 2002
17. **Foreign and Second Language Learning, William T. Littlewood, Cambgriadge, 1984,**
18. **Principle and Practice in Second Language Acquisition, Krashen S. D. New-York, 2005**

**WWW. mes.gov.ge**
**WWW. 1 SEPTEMBER.RU/RU/RUS/99/RUS44.htm**

ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტისა და სარაიონო ბიბლიოთეკაში. ასევე ლექტორის პირად ბიბლიოთეკაში.